

საქართველოს კანონი

„საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №22(29), 1999 წელი, მუხ. 104) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და ცვლილება:

1. პირველ მუხლს დაემატოს „პ³“ და „პ⁴“ ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

„პ³) კონტეინერი – კონტეინერი განიმარტება „კონტეინერებთან დაკავშირებული 1972 წლის საბაჟო კონვენციის“ მიხედვით;

პ⁴) ავტომზიდი – სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც განკუთვნილია ავტომობილებისა და თვლიანი მსუბუქი ტრაქტორების გადასაზიდად.“

2. 42-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საშიში, მსხვილგაბარიტიანი და მიძიმეწონიანი ტვირთის გადატანა, გასაუვნებელი ტვირთის გადაზიდვა, ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობა, რომლის საგაბარიტო პარამეტრები ტვირთით ან ტვირთის გარეშე აღემატება სიგანეში 2,55 მეტრს (რეფრეკტორის შემთხვევაში 2,60 მეტრს), სიმაღლეში სავალი ნაწილის ზედაპირიდან 4,00 მეტრს, ხოლო ავტომზიდისათვის და კონტეინერის გადაზიდვის შემთხვევაში – 4,30 მეტრს, სიგრძეში – 20 მეტრს (ავტომატარებელი ან შესახსრებული (საწვეარი ნახევარმისაბმელით) ავტოსატრანსპორტო საშუალება, შესახსრებული ავტობუსი), ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში – 12 მეტრს, ან ისეთი ტვირთით მოძრაობა, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალების უკანა გაბარიტის წერტილიდან 2 მეტრზე მეტადაა გადმოშვებული, ორ და მეტმისაბმელიანი ავტომატარებლის მოძრაობა ხორციელდება ამ პარამეტრების სათანადო კორექტირების შემთხვევაში ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული რეკომენდაციის მიღების შემდგომ.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.